აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
Academic Board of Akaki
Tsereteli State University

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი

ტელ: (+995 331) 4 21 73 ფაქსი (+995 331) 4 38 33
ელ.ფოსტა atsu@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო
6 ნოემბერი, 2020

**დადგენილება №10 (2020-2021)**

"პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმების დამტკიცების შესახებ" აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 თებერვლის N51 (17/18) დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

"პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმების დამტკიცების შესახებ" აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 თებერვლის N51 (17/18) დადგენილებაში საჭიროა რიგი ცვლილებების შეტანა, რაც დაკავშირებულია უნივერსიტეტის ეთიკის კომისიის ფუნქციონირებასთან და მის უფლებამოსილებებთან. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილებები "პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმების დამტკიცების შესახებ" აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 თებერვლის N51 (17/18) დადგენილებაში და

1.1. დადგენილების 5.2.3. მუხლში სიტყვების: მიმართოს ფაკულტეტს განცხადებით შემდგომი რეაგირებისათვის" შემდგომ სიტყვები: "სანქციის შეფარდება ხდება ფაკულტეტის მიერ შექმნილი კომისიის მიერ" ამოღებულ იქნეს.

1.2. დადგენილების მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"6. აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევა აკადემიური პერსონალის მიერ აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევა აკადემიური პერსონალის მხრივ განიხილება უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის შესაბამისად, უნივერსიტეტის ეთიკის კომისიის მიერ.".

1.3. დადგენილების მე-7 მუხლი ამოღებულ იქნეს.

2. დადგენილება ძალაშია 2020 წლის 15 ოქტომბრიდან.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე, რექტორი: პროფ. როლანდ კოპალიანი